

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი № 9

ქ. გარდაბანი

20 ივლისი 2023 წელი 12:00 სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი:

სამირ ხიალოვი	შახადატ მეხრაღიევი
ზაზა ონიანი	ლია მეტრეველი
დავით ჭინჭარაული	კამრან ბაბაევი
გიორგი გურულიშვილი	ლევან ბეგლარიშვილი
ტარიელ ჯანხოთელი	გუსეინკულუ მუსაევი
დავით ებილაშვილი	აბდულალი იბრაგიმოვი
ანი მანჩხაშვილი	ზურაბ კორახაშვილი
თორნიკე ქავთარაძე	აკიფ ისმაილოვი
ზურაბ ბენდელიანი	მადონა გაბროშვილი
თამარ ხაჩიძე	მეითხან მეითხანოვი
მირზა მირზოევი	ლალი კახურაშვილი
ლევან ნიჟარაძე	ანარ მურადოვი
მაია შამედოვა	ნათია ბარათელი
ლაშა ქართლოსიშვილი	

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი - შალვა გურულიშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური
ქონების მართვის სამსახურის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი - დავით შინჯიკაშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
აპარატის ხელმძღვანელი - ოთარ გავაშელიშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
აპარატის ხელმძღვანელის მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი - ნინო დათუაშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მეორადი სტრუქტურული ერთეულის
საორგანიზაციო განყოფილების
ხელმძღვანელი - დავით მერაბიშვილი.

დღის წესრიგი:

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

*მომხსენებელი: შალვა გურულიშვილი
თანამომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე*

2. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

3. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოში მდებარე, №81.09.12.424 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 380 კვ.მ მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

*მომხსენებელი: დავით შინჯიკაშვილი
თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული*

საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

სხდომის თავმჯდომარემ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ - მიხეილ გედეხაურმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა. საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად.

დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: შალვა გურულიშვილი
თანამომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

2. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

3. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოში მდებარე, №81.09.12.424 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 380 კვ.მ მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

მომხსენებელი: დავით შინჯიკაშვილი
თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28

წინააღმდეგი - 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1

**„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №38 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის შესახებ.**

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - შალვა გურულიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ** და განმარტა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 17 ივლისის 18-1823198105 წერილით საკრებულოში წარმოდგენილი იქნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი, კერძოდ:

ჭარბი შემოსავლების მიღების შედეგად გაიზარდა სხვა შემოსავლების მუხლი - ჯარიმები, სანქციები და საურავები - 202,600 ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 272,000 ლარი. ჭარბი შემოსავლების მიღების შედეგად გაიზარდა არაფინანსური აქტივების რეალიზაციის შედეგად მისაღები შემოსავლები - 1,000,000 ლარით. სატენდერო ეკონომიებმა და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტებიდან მორჩენილმა ეკონომიამ შეადგინა 221,000 ლარი.

სულ 1,695,600 ლარი გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ქ.გარდაბანში და სოფ.კრწანისში 21 ერთეული საბჭოური წარმოების ლიფტების ახლით ჩანაცვლება - 500,000 ლარი (2023-2024 წ. გარდამავალი პროექტი. 2023 წელს - 500,000 ლარი , 2024 წელს - 600,000 ლარი)
- ქ. გარდაბანში ლესელიძის ქ. N-10 საცხოვრებელი კორპუსის გადახურვა - 17,400 ლარი.
- გარდაბნის მუნიციპალიტეტში , ვაზიანის დასახლებაში ვეტერანთა კორპუსის გადახურვა - 60,000 ლარი.
- გარდაბნის მუნიციპალიტეტში , ბროწეულას დასახლებაში გარე-განათების მოწყობა - 55,000 ლარი.
- გარდაბნის მუნიციპალიტეტში, რადიოქარხნის დასახლებაში გარე-განათების მოწყობა -15,000 ლარი.
- სოფ. მარტყოფში სპორტული დარბაზის მოწყობა- 350,000 ლარი. (2023-24 წ. გარდამავალი პროექტი. 2023-წელს - 350,000 ლარი 2024 წელს - 1,209,000 ლარი)
- სოფ. წალასყურში ეკლესიის მიმდებარედ სკვერის მოწყობა (შეწყვეტილი პროექტი) - 26,200 ლარი.
- საპროექტო დოკუმენტაციის შექმნისთვის დამატებით - 10,800 ლარი.

- სოფ. მარტყოფში ეკლესიის მიმდებარედ სკვერის მოწყობა (შეწყვეტილი პროექტი)- 35,900 ლარი.
- სოფ. ახალ სამგორში სკვერის მოწყობა (შეწყვეტილი პროექტი) - 24,000 ლარი.
- სოფ. მარტყოფში სპორტული მოედნის მოწყობა (შეწყვეტილი პროექტი) - 98,300 ლარი.
- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა – 290,000 ლარი.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა - 7,000 ლარი.
- ჩვილ ბავშვთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა - 3,000 ლარი.
- ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი - 110,000 ლარი.
- ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი - 10,000 ლარი.
- ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრი - 17,000 ლარი.
- სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხების ფონდი - 33,000 ლარი.
- მერის სარეზერვო ფონდი - 33,000 ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა დადგენილებას - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20

წინააღმდეგი - 8

მიღებულია დადგენილება №14 - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

საკითხი 2.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ნიჟარაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ მიმდინარე წლის 18 ივლისს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას შესასწავლად დაეწერა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ინიცირებული სამსახურეობრივი ბარათი №19-192319915 „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, სადაც საწვავის ჯამური ლიმიტი განისაზღვრება 9700 (ცხრა ათას შვიდასი) ლიტრი თვეში: ბენზინი - 9000 (ცხრა ათასი) ლიტრის, ხოლო დიზელი-700 (შვიდასი) ლიტრის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 7

მიღებულია განკარგულება №68 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი 3.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოში მდებარე, №81.09.12.424 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 380 კვ.მ მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - დავით შინჯიკაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების

პროექტი - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოში მდებარე, №81.09.12.424 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 380 კვ.მ მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით და განმარტა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის №18-18231987 წერილით საკრებულოში წარმოდგენილი იქნა საკითხი სოფელ ნორიოში მდებარე, ს.კ.№81.09.12.424 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 380 კვ.მ მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N4 დადგენილებით დამტკიცებული „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ – „სოფლის ექიმის“ კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განმახორციელებლად 2022 წლის 1 მარტიდან განისაზღვრა ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“. შესაბამისად, საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგმა განახორციელა სოფლის ამბულატორიული ქსელის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის ანალიზი საქართველოს ყველა რეგიონში. 1000-ზე მეტი სოფლის ამბულატორიის შეფასებამ აჩვენა, რომ ინფრასტრუქტურა ამორტიზებულია, შენობების უმრავლესობა სარემონტო და მოუწესრიგებელია, რის გამოც ვერ ხდება პაციენტებისათვის სათანადო სამედიცინო მომსახურების შესაბამისი სტანდარტის შეთავაზება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“ ქვეყანაში პირველადი ჯანდაცვის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იწყებს მუშაობას ამბულატორიების რეაბილიტაცია/მშენებლობის განსახორციელებლად..

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოში მდებარე, №81.09.12.424 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 380 კვ.მ მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23

წინააღმდეგი - 5

მიღებულია განკარგულება №69 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოში მდებარე, №81.09.12.424 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 380 კვ.მ

მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

მიხეილ გედეხაური

